


ნანა იოსელიანი  
სოფიო ქებურია

# ხელოვნება 8

მოსწავლის წიგნი


ნაწილი II



გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების,  
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის  
სამინისტროს მიერ 2020 წელს.

# სარჩევი

## 2 ადამიანი ხელოვნებაში



ლეონარდო და ვინჩი, „ვიტრუვიანელი ადამიანი“, 1490-1492 წ.

ადამიანი სამყაროს ცენტრში	117
<b>1.</b> ადამიანი ჰუმანისტი	118
<b>2.</b> ვინ დაუბრუნა ადამიანს მოცულობა?	122
<b>3.</b> ადამიანი აღორძინების ხანის ქანდაკებაში	128
<b>4.</b> მაღალი აღორძინება	134
<b>5.</b> დასასრულის დასაწყისი	146
<b>6.</b> ადამიანი ჩრდილოევროპულ რენესანსში	156
<b>7.</b> ხელოვნება უგუნურების წინააღმდეგ	162
<b>8.</b> გრძნობა და ემოცია	170
<b>9.</b> ხასიათი და მიმიკა	180
<b>10.</b> ფსიქოლოგიური პორტრეტი	184
<b>11.</b> კამერული და საზეიმო პორტრეტი	196
<b>12.</b> ბაროკოს ეპოქის ადამიანი	210
<b>13.</b> პალატინი პორტრეტი	214
<b>14.</b> ავტოპორტრეტი	224
<b>15.</b> ადამიანის ყოფა	236
<b>16.</b> რას გვიამბობს კოსტიუმი	250

### 3 გარემო და ხელოვნება




ანრი მატისი, ნატურმორტი  
ფანჯარასთან. 1922 წ.

სამყარო ჩვენ გარშემო	261
<b>1.</b> ნატურმორტი ანუ გარემო ახლო ხედით	262
<b>2.</b> პეიზაჟი ანუ გარემო შორი ხედით	269
<b>3.</b> პერსპექტივა	274
<b>4.</b> ხსნა ბუნებაშია	280
<b>5.</b> არქიტექტურა	284
<b>6.</b> ხუროთმოძღვრება და გარემო	292
<b>7.</b> კლიმატი და არქიტექტურა	296
<b>8.</b> არქიტექტურის მხატვრული ენა	300
ეპილოგი	306
ლექსიკონი	307

## 2

## ადამიანი ხელოვნებაში



ლეონარდო და ვინჩი, „ვიტრუვიანელი ადამიანი“, 1490-1492 წ.

## ადამიანი სამყაროს ცენტრში

- როგორ იყენებენ ადამიანები ხელოვნებას თვითგამოხატვისთვის?
- როგორ ასახავდნენ სხვადასხვა ეპოქის ხელოვნებაში ადამიანს?
- როგორ შეიცვალა დროთა განმავლობაში სახვითი ხერხები ადამიანის გარემომცველი სამყაროსადმი დამოკიდებულების, გარეგნობის, იდეების, განცდების, ხასიათის, ინტერესების, მისი სოციალური მდგომარეობის, სამყოფელი გარემოსა და ყოველდღიური ცხოვრების გადმოსაცემად?
- როგორ შემიძლია სახვითი საშუალებებისა და ხერხების გამოყენება ჩემი იდეების, განცდების, ხასიათის, ინტერესების, სოციალური მდგომარეობის, სამყოფელი გარემოსა და ყოველდღიური ცხოვრების გადმოსაცემად?

ადამიანის ერთ-ერთი პირველი გამოსახულება წინაისტორიული ხანის ლასკოს გამოქვაბულშია აღმოჩენილი. იქ მარტივად, უბრალო ხაზებით, პიზონის რქებით განგმირული მონადირეა გამოსახული. მას შემდეგ უსუსური ადამიანი უამრავ გამოწვევასთან ბრძოლაში გამოიბრძმედა და თანდათანობით, სამყაროს მბრძანებლად იქცა. ადამიანი საკუთარ თავს შეიმეცნებს, მუდამ ვითარდება, სრულყოფისკენ ისწრაფვის.

როგორი იყო ადამიანი ადრე? როგორია დღევანდელი ადამიანი? ამის შესახებ ხელოვნება გვიამბობს.

ხელოვნება ის იარაღია, რომლითაც შევიძლია ადამიანს კიდეც მოუწონო საქციელი, კიდეც უსაყველურო, კიდეც შეაქო და კიდეც გააკრიტიკო, მისი ფარული გრძნობები გამოააშკარავო პირდაპირ ან ირიბად. მოდი ვნახოთ, როგორ აკეთებდნენ ამას ჩვენი წინაპარი ხელოვანები.

# 1. ადამიანი ჰუმანისტი



„ადამის შექმნა“, მიქელანჯელო,  
სიქსტეს კაპელა, 1512 წ.

ადამიანის შეხედულებები დროსთან ერთად იცვლება. ადამიანი თანდათანობით შეიმეცნებს სამყაროს და საკუთარ ადგილს ამ სამყაროში. ის ხან ჰარმონიაშია გარემომცველ სამყაროსთან, ხან – კონფლიქტში. სახვითი ხელოვნება ამ რთულ გზას ასახავს.

ჩვენი ისტორიის დასაბამიდან დღემდე მხოლოდ ორ ეპოქაში მოიაზრებოდა ადამიანი სამყაროს ცენტრში. ეს არის ანტიკური საბერძნეთი და ჰუმანისტური რენესანსი. საუკუნეები აშორებს ამ ორ ეპოქას. შუალედში სრულიად განსხვავებული შეხედულებები მეფობდა. ბოლოს მაინც გაიმარჯვა ადამიანის ლტოლვამ თავისუფალი შემოქმედებისკენ.

## აღორძინების ხანის პირობითი პერიოდიზაცია



XIII-XIV სს.  
პროტორენესანსი



XV ს-ის II ნახ.  
მაღალი აღორძინება



XV ს-ის I ნახ.  
ადრეული აღორძინება



XVI ს.  
გვიანი აღორძინება

სიტყვა „რენესანსი“ ფრანგულად ხელახლა დაბადებას ნიშნავს. მაშ, რატომ მღა დაერქვა იტალიაში ჩასახულ მოვლენას ფრანგული სახელწოდება და არა იტალიური „რინაშიმენტო“? იმიტომ, რომ ეპოქის „ნათლია“, XIX ს-ის ისტორიკოსი ჟიულ მიშლე, ფრანგი გახლდათ.

ალორძინება იტალიაში დაიწყო და ამას მრავალი მიზეზი აქვს.

1. 1453 წელს ბიზანტიის იმპერიის დაცემის შედეგად ბიზანტიიდან ევროპაში ლტოლვილმა ბერძნებმა თან გაიყოლეს წიგნები და თავიანთი კულტურის ღრმა ცოდნა.
2. იტალიის ქალაქები, ფლორენცია და ვენეცია ახალ მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტებად იქცნენ და ეკონომიკურად დაწინაურდნენ.
3. ფლორენციის წარჩინებულმა საგვარეულომ, მედიჩებმა აქ პირველი ბანკი დააარსეს. ისინი დიდად ფულს ხარჯავდნენ, რომ საკუთარი ყოფა ფუფუნების საგნებით გაელამაზებინათ. მედიჩების კარზე საუკეთესო ხელოვანები მოღვაწეობდნენ.

იტალია გამდიდრდა და განათლებას დაეწაფა. მსოფლიოს უძველეს, ბოლონიის უნივერსიტეტში ბერძნული ენა ისწავლებოდა.

იტალიელებმა ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა ნააზრევის დედანში წაკითხვა შეძლეს და ლათინურად თარგმნეს. ამ ფაქტმა დიდი როლი შეასრულა რენესანსული ჰუმანიზმის ჩასახვაში.

იტალიელებმა ძველ ბერძენ და რომაელ მეცნიერთა ნააზრევისა და ხელოვანთა მიღწევების ხელახლა გააზრება დაიწყეს. ადამიანისადმი ანტიკური სამყაროს დამოკიდებულება რენესანსულთან ახლოს აღმოჩნდა. ბერძენი გმირი, რომელიც საკუთარი ქალაქ-პოლისის საკეთილდღეოდ, დილით პალესტრაზე ნავარჯიშევი, საღამოს ფილოსოფიას სწავლობს და ქალაქის ბედ-იღბლის გადაწყვეტაში მონაწილეობს, თავს ღირსეულ მოქალაქედ გრძნობს. შეუასუკუნებში იტალიის მსხვილი ქალაქები რომისგან დამოუკიდებელ ქალაქ-რესპუბლიკებს წარმოადგენდნენ. დამოუკიდებლობის განცდით განმსჭვალული უნივერსალური ადამიანი, რომელიც ერთდროულად არქიტექტორიცაა, ინჟინერიცა, გამომგონებელი, მხატვარი, მოქანდაკე, მწერალი და მკვლევარი, ასევე საკუთარი ცხოვრების ბატონ-პატრონად გრძნობს თავს. თავისი ცოდნის წყალობით მას უამრავი საკითხის მოგვარება შეუძლია. რენესანსული ჰუმანიზმი ადამიანის



ბოლონიის უნივერსიტეტი

პიროვნულ თავისუფლებას მთავარ ღირებულებად აცხადებს. ანტიკური ხანის შემდეგ ადამიანმა კვლავ ირწმუნა თავისი გონებრივი, შემოქმედებითი და ფიზიკური შესაძლებლობები.

რელიგიურ სცენებში იტალიელი დამკვეთი ისე თამამად, თავდაჯერებულად და არხეინად დგას ქრისტეს გვერდით, როგორც კარგი ნაცნობი! მათ შორის მასშტაბში არანაირი განსხვავება არ არის. ის კი არა, მალე

მაცხოვარსა და წმინდანებს შარავანდედიც უქრებათ და ჩვეულებრივ ადამიანებად წარმოგვიდგებიან. სანაცვლოდ, უჩნდებათ ისეთი რამ, რაც აქამდე ქრისტიანულ ხელოვნებაში არასოდეს ყოფილა – მიწაზე დაცემული ჩრდილი. მხატვრებმა რელიგიურ სცენებში ავტოპორტრეტების ჩართვაც გაბედეს. თუ როგორ შეიცვალა ახლებური აზროვნების თანახმად სახვითი საშუალებები და ხერხები, ამას შემდგომ შეიტყობ.



მაზარი, „სასწაული სტატირით“, ბრანკაჩის კაპელა, 1425 წ., დეტალი



ლეონარდო და ვინჩი, „საიდუმლო სერობა“, 1490-იანი წნ.

## 1 იმსჯელე

- როგორ აისახება ხელოვნებაში ადამიანის რწმენა და წარმოდგენა სამყაროზე?
- რისი მაუწყებელია მიწაზე დაცემული ჩრდილი?
- რატომ არ უხატავდნენ შუა საუკუნეებში რენესანსის ეპოქამდე წმინდანებს ჩრდილებს?
- რას ნიშნავს შარავანდედი ან მისი არარსებობა?
- როგორ შეიცვალა ადამიანისადმი დამოკიდებულება რენესანსის ეპოქაში?
- როგორ ფიქრობ, როგორი სახვითი საშუალებები და ხერხები „ერგება“ თანამედროვე სამყაროს ასახვას?

## 2 შეკითხვები

- რა „დაიბადა ხელახლა“ ალორძინების ეპოქაში?
- როგორია ადამიანის ძველბერძნული იდეალი?
- რას გულისხმობს რენესანსული ჰუმანიზმი?
- რა ფაქტორებმა განაპირობა იტალიაში ჰუმანიზმის ჩასახვა?

### ③ ცნობა ისტორიიდან

ფლორენცია აღორძინების ეპოქის კულტურული აღმავლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრია. ამაში დიდი წვლილი მედიჩების საგვარეულოს მიუძღვის. მედიჩები იყვნენ მეცენატები. ისინი მფარველობდნენ მხატვრებს, პოეტებს, ფილოსოფოსებს და სხვ. ამ

ბანკირების გავლენის ქვეშ მოექცა ქალაქის სამხედრო, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება. მედიჩების ძალაუფლება ფლორენციის ფარგლებსაც გასცდა. საგვარეულოს ოთხი წარმომადგენელი რომის პაპი გახდა, ეკატერინა და მარია მედიჩები კი საფრანგეთის დედოფლები იყვნენ.



ბოტიჩელი, მედიჩების ოჯახი, „მოგვთა თაყვანისცემა“, 1475 წ.

### ლექსიკონი

დუჩენტო, ტრეჩენტო და ა.შ. – ჩენტო იტალიურად 100-ს ნიშანეს. დუჩენტო – 1200-იან, ტრეჩენტო – 1300-იან, კვატროჩენტო – 1400-იან, ხოლო ჩინკვენტო – 1500-იან წლებს.

ჰუმანიზმი – მიმდინარეობა და შეხედულებათა სისტემა XIV-XVI სს-ის იტალიაში, რომლის მიხედვით, ადამიანის ბუნების დახვენა შესაძლებელია ანტიკური კულტურის შესწავლის გზით. ჰუმანისტები თანაბრად დაინტერესდნენ ადამიანის სულიერი და ხორციელი მოთხოვნილებებით.

## 2. ვინ დაუბრუნა ადამიანს მოცულობა?

პროტორენესანსი ჯერ კიდევ მჭიდროდაა დაკავშირებული შუა საუკუნეების იკონოგრაფიულ ტრადიციებთან.



ჩიმაბუეს ხატი „მაესტა“, უფიცის გალერეა, ფლორენცია, XIII ს.



ჯოტოს ხატი, „მადონა ონისანტი“, 1310 წ.

ჯოტო დი  
ბონდონე,  
იოაკიმეს სიზმარი

ჩიმაბუეს (1240-1302) „მაესტასა“ და ჯოტო დი ბონდონეს (1267-1337) „მადონა ონისანტის“ ერთმანეთისგან მოკლე დრო აშორებს. ჩიმაბუე ჯოტოს მასწავლებლად ითვლება. ისევე როგორც პროტორენესანსის სხვა მხატვრები, ჩიმაბუე ბიზანტიური იკონოგრაფიული ტრადიციების ერთგულია.


### 1 იმსჯელე

გაიხსენე ბიზანტიური სახვითი ნიშნები და დაახასიათე ჩიმაბუეს „მაესტა“.

ჯოტო დი ბონდონე რენესანსის პირველი მერცხალი, ფერწერის ნოვატორი და რეფორმატორია. მან მხატვრობაში ნამდვილი გადატრიალება მოახდინა. მართალია, მისი პერსონაჟები ჯერ კიდევ მიწაზე დაცემული ჩრდილების გარეშე გამოისახებიან, მაგრამ ფიგურამ უკვე მოცულობა შეიძინა, „ხორცი შეისხა“, ნონა დაიდო, დამძიმდა. სამოსის პლასტიკური ნაკეცების ქვეშ სხეულის რბილი, მკვრივი ფორმები იგრძნობა. ჯოტოს „მადონა ონისანტი“ უკვე რეალური ქალია.



ჯოტოს ფიგურები მყარად დგანან მიწაზე.  
პეიზაჟიც გამოჩნდა. თუმცა, კლდეც, ხეცა და  
ბუჩქიც ჯერ კიდევ სასცენო დეკორაციასავით  
ხელოვნურია. გარემო კი უკვე სამგანზომილები-  
ანი სივრცეა.



ჯოტო, „იერუსალიმიდ  
შესვლა“, კაპელა სკოვენი,  
ფრესკა, პადუა



ჯოტო, „იუდას ამბორი“,  
კაპელა სკოვენი, ფრესკა,  
პადუა



ჯოტო რელიგიური შინაარსის ეპიზოდებს ისე წარმოგვიდგენს, თითქოს საკუთარი თვალით ენახოს, თავად ყოფილიყოს ქრისტეს დაბადების, სასწაულთა თუ ვნებათა მომსწრე. მოქმედება თეატრის სცენის მსგავს ვიწრო მონაკვეთზე იძლება. ხატწერისთვის დამახა- სიათებელი, ოქროსფერი ან სხვა ფერის ფონი მთების, ქალაქისა და ცის ხედმა შეცვალა.

პერსონაჟები რეალური, მიწიერი, დამა- ჯერებელი და სახასიათო გახდა – ისეთი, როგორებსაც ჯოტო ყოველდღიურად ხვდე- ბოდა ქუჩებში. გაჩნდა გულწრფელი, ადამი- ანური ემოცია, ნაოჭები ხნიერი ადამიანების სახეზე, მაყურებლისკენ ზურგით მდგომი ფიგურები. ზუსტად ისე, როგორც ჩვენ ვხე- დავთ თვალწინ „გათამაშებულ“ სიტუაციას. გაჩნდა რეალური, მიწიერი ცხოვრებისადმი ინტერესი.



ფლორენცია, სანტა კროჩეს  
ეკლესია, ბარდის კაპელა,  
დეტალი



კაპელა სკროვენი, პადუა (დეტალი)

ჯოტოს არ ჰყოფნის ანატომიის ცოდ- ნა, რომ ფიგურები და მათი მოძრაობები გამართულად გადმოგვცეს, მაგრამ მის მიერ მიგნებული სიახლეები საკმარისი იყო, რომ მძლავრი ბიძგი მიეცა მომავალი ხელოვანებ- ისთვის. ჯოტოს კოლეგები სამყაროს რეალ- ისტურად გადმოცემის მხატვრული ხერხების ძიებას შეუდგნენ.